კვირა, 30 ივლისი 1917 წ.

ფასი 10 კაპ.

# ბრძოლა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაზეთი ჯერ-ჯერობით გამოვა კვირაში ერთხელ. კორრესპონდენციები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Нерсесовская ул. № 3, стар. армянская семинарія.
გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 20 კ., 1 თვით 40 კ.
განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 10 კ.

№ 9 რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (მეუმრავლესეთა) თბილისის კომიტეტის ორგანო № 9

## მუშებო, მუშა-ქალებო, სალდათებო და ყველა მშრომელნო,

თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში

## ხმა მიეცით № 8

რევოლიუციონურ პროლეტარიატის წარმომადგენლებს, ს.-დემ. ინტერნაციონალისტებს-ბალშევიკებს

# № 8 სია № 8

## თფილისის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატებისა

## რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტია (ბალშევიკებისა)

1. ცხაკაია მიხეილ გრიგოლის ძე, ჟურნალისტი.
2. მახარაძე ფილიპე იესეს ძე, ლიტერატორი, თფ. ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.
3. ოქუაშვილი არაქელ გრიგოლის ძე, მუშა.
4. შავერდოვი დანიელ ალექსანდრეს ძე, ვექილი, თფ. ქალ. საბჭოს წევრი, ახალი საბჭოს ფრაქციის წევრი, თფ. ქალ. აღმ. კომ. წევრი.
5. ათაბეგოვი არშაკ ნაზაროვის ძე, ბუნებისმეტყველი, წევრი ქალ. საბჭოს ახალ-საბჭოს ფრაქციისა.
6. ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე, ლიტერატორი.
7. ჩხეიძე გიორგი ივანეს ძე, მუშა.
8, ხანოიანი სარქის მელიქსეტის ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი, რედაქტორი გაზ. „ბანვორი კრივ“, წევრი თფ. ქალ. აღმასრ. კომიტეტისა.
9. კუზნეცოვი, ნიკოლოზ მიხეილის ძე, სტატისტიკი, მდივანი ჯ.-კაც. და მუშების საბ. აღმ. კ.
10. ოკუჯავა მიხეილ სტეფანეს ძე, იურისტი.
11. ვაშაკიძე ვალერიანე ათანასეს ძე, მუშა.
12. მელიქ-აბაზიანცი, მინასი ეგნატეს ძე, საქმის მწარმოებელი, პროფ. კავშირის ვაჭარ-მრეწველთა მოსამსახურეებისა.
13. ქავთარაძე სერგო ივანეს ძე, იურისტი.
14. ნაზარეტიანი გმაიაკ მარკარას ძე, ვექილის თან., წევრი ჯ.-კ. და მ. საბჭ.
15. კოსტინი ივანე ეგორის ძე, მუშა, წევრი აღმას. კ. მუშ. და ჯ.-კ. საწ.
16. შავერდოვისა სირანუიშ მიკირტიჩის ასული, პედაგოგი.
17. მრავიანც ასკანაზ არტემის ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი, რედაქ. გაზ. „ბანვორი კრივ“.
18. ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, კოოპერატორი.
19. მიშჩენკო კორნილი ვასილის ძე, ჯარის-კაცი.
20. ტერ-ღასპარიან ს. კასიან სერგეი ივანეს ძე, ჟურნალისტი.
21. ვენცკოვსკი იგნატე მიხეილის ძე, მუშა.
22. ვანტერ რეინ ადამოვიჩ, ლაბორატორი-ბაკტერიოლოგი.
23. ბოგდანოვი ზალმან აბრამის ძე, წევრი კავკ. საოლქო თათბირისა.
24. მამულია ილია დმიტრის ძე, ექიმი, ფოშტა-ტელეგრაფის კომისარი.
25. სოლოვიან აკიმ არტემის ძე, პედაგოგი.
26. გახოკია მიხეილ ფილიპეს ძე, ჯ. კაცი, წევრი მუშ. და ჯ.-კ. დეპ. სათ.
27. კახიან ასატურ სტეპანეს ძე, მუშა, წევრი მ. ჯ.-კ. დეპ.
28. კარგანოვი გრიგორი ნიკოლოზის ძე, პოლპ. ფილოლოგ-ჟურნალისტი.
29. ხარატიან გრიგორი დანიელის ძე, ბუღალტერი, ჟურნალისტი, მდივანი ცენტრ. ბიუროს პროფ. კავშ.
30. პისკუნოვი ანატოლი ვიქტორის ძე, სამხ. ჩინოვნიკი, წევრი მ. და ჯ.-კ. დეპ. სათ.
31. აკოპიანი აკოპ მინაევის ძე, მწერალი.
32. ბებურიშვილი ანდრო გეორგის ძე, ვექილი.
33. პეტროვი ალექსანდრე ვასილის ძე, პრაპ.
34. ნაჯაფოვი რიზა კული, ჟურნალისტი.
35. მაშლიანი ოგანეს მიხეილის ძე, მუშა.
36. ამირაგოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე, ეკონომისტი.
37. მუშნიკოვი ვასილი პანტელეიმონის ძე, ჯ.-კ. წევრი კავკ. საოლქო სათ.
38. ბილანოვი დიმიტრი (ზაქარია) გრიგორის ძე, ჟურნალისტი.
39. იაგუბიანი ლევონ ბაგდასარის ძე, ხელოსანი.
40. ჩოდრიშვილი მიხეილ სოსიას ძე, ხელოსანი, ჯ.-კ. და მ. სათათბიროს წევრი.
41. შავერდოვი ალექსანდრე იაგორის ძე, ვექილი.
42. მარასალოვი სიმონ ანდრიას ძე, მუშა.
43. ხოლვაში ეკატერინა ვლადიმერის ასული, პედაგოგი.
44. თოდრია სილიბისტრო ესეს ძე, ასოთ-ამწყობი.
45, დუმბაძე ვლადიმერ ელიზბარის ძე, ასოთამწყობი.
46. კალანტაროვი პაპა ბეგანის ძე, აგრონომი.
47. ტრაპაიძე ზებედე სამსონის ძე, ჯ.-კ., წევრი მ. და ჯ.-კ. აღმ. კომ. დ.
48. ვარტანიანცი გრიგორ მინას ძე, მუშა.
49. ლაშქარაშვილი ვასილი გიორგის ძე, მუშა.
50. დენისოვი ათანასე ექვთიმეს ძე; ჯ.-კ. წევრი აღმ. კომ. მ. და ჯ.-კ. ს.
51. კარაპეტიანი გიორგი არტემის ძე, ტეხნიკი.
52. კორჩაგინი პეტრე ივანეს ძე, მუშა.
53. კალაძე რაჟდენ თომას ძე, ჟურნალისტი.
54. კაიდალოვი ალექსანდრე გაბრიელისძე, პრაპორშჩიკი 218 სათადარიგო პოლკ., საოლქო საბჭოს წევრი.
55. სააკიანი არამ ეგორისძე, ეკონომისტი.
56. კუდინი დიმიტრი ვასილის ძე, სამხ. ჩინოვნიკი სალდათთა და მუშათა საბჭოს წევრი.
57. ბოლქვაძე ივანე ბეგანის ძე, ასოთამწყობი.
58. ტერ-პეტროსოვისა ჯავაირა არშაკის ასული, მასწავლებელი.
59. ტერ-სააკიანი სენეკერიმე მიკირტუმის ძე, პედაგოგი, ლიტერატორი.
60. დიკოვსკი ედმუნდი იოსების ძე, მუშა.
61. შმიდტი ვოლდემარი ივანეს ძე, სტამბაში მომუშავე.
62. ციმაკურიძე დავით იოსების ძე, დეპოს მუშა.
63. პოპოვი ვასილი პროკოპის ძე, მუშა.
64. საბაშვილი პარმენ ალექსის ძე, რკინის გზის სახელ. მუშა.
65. მარგულიცი ლიუდვიგი მარტინის ძე, მუშა.
66. ფირცხალავა ანდრია ბერიკას ძე, მუშა, მუშ. და სალდ. საბჭოს წევრი.
67. მარიკოვი პეტრე ალექსანდრეს ძე, სალდათი, სალდ. და მუშ. საბჭ. წევრი.
68. ალავერდოვი სტეფანე კარპეს ძე, ეკონომისტი.
69. ჯორბენაძე იასონ ივანეს ძე, სალდ. და მუშ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.
70. არეშიძე ვასილი იოსების ძე, ბუღალტ., სალდ. და მუშ. საბჭ. წევრი.
71. სოხაძე მიხეილი ივანეს ძე, სახალხო მასწავლებელი, სალდ. და მუშათა საბჭოების წევრი.
72. იგნატიევი ვასილი თედორეს ძე, მუშა.
73. მახარაძისა ნინა პროკოპის ასული, მასწავლებელი.
74. წულუკიძისა ელენე მერაბის ასული, მასწავლებელი.
75. ჯაფარიძისა ბარბალე მ. ხეილის ასული, პედაგოგი.
76. ესაიანი ხაჩატურ ივანეს ძე, ბუღალტერი, სავაჭ.-მრეწვ. მოსამ. პროფეს. კავშირის მმართველობის წევრი.
77. მაკაროვი ნიკოლოზ ალექსის ძე, რკინისგზის სახელოსნოს მუშა.
78. ნერსისიანი ნერსეს ოვანესის ძე, ბუღალტერი, სალდ. და მუშათა საბჭოს წევრი.
79. აკოპოვი არუთიუნი გრიგორის ძე, სტუდენტი.
80. კამალოვი ტომასი გიორგის ძე, ბუღალტერი.
81. ცხომელიძე ფილიპე ილარიონის ძე, პროვიზორი.
82. როჟკოვი ვასილი არხიპას ძე, სალდათი.
83. პარკაძე გრიგორი ბენედიქტეს ძე, რკინისგზის კანტროლის მოსამსახურე.
84. ტუმანიანცი აშოთ ოვანესის ძე, პედაგოგი.
85. კაპანაძე ბარბალე ალექსანდრეს ასული, კანტორის მოსამსახურე
86. გალდავა შუშანიკა ნესტორის ასული, მასწავლებელი.
87. ხოშტარია მარკოზ ფარნაოზის ძე, მუშა.
88. გოდერზოვი ალექსანდრე აგების ძე, მასწავლებელი.
89. ნოვკინი ლადიმერ დიმიტრის ძე, სალდათი, სალდ. და მუშ. საბჭ. წევრი.
90. არუთიუნოვი არშაკ ვართაზაროვის ძე, სალდათი, სალდ. და მუშ. საბჭოს წევრი.
91. პაზიო ბერნარდ თომას ძე, მუშა.
92. ჩებოტარიოვი სერგია გრიგორის ძე, სალდათი.
93. ტონკიხ პავლე დიმიტრის ძე, სალდათი, სალდ. და მუშ. საბჭოს წევრი.
94. ფირცხალავა ერმილე ნიკოლოზის ძე, მუშა.
95. კორზიუკოვი ნიკოლოზ ანდრიას ძე, სალდათი, სალდ. და მუშ. საბჭ. აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.
96. სტარჩენკო ეგნატე მიხეილის ძე, სალდათი.
97. დემიანიკი ანანი ანტონის ძე, სალდ.
98. თალალაევი ალექსანდრე ივანეს ძე, სალდათი.
99. ტკაჩევი ილია თედორეს ძე სალდ.
100. ბეკეტოვი ივანე პეტრეს ძე, მუშა.
101. ანდრეაშკინ დიმიტრი კიმოთეს ძე, სალდ. და მუშ. საბჭოს წევრი.
102. ეტინგოფი ბორის ევგენის ძე, იურისტი.
103. პეტროვი ვლადამერ ანტონის ძე, იუნკერი, სალდ. და მუშ. საბჭოს წევრი.
104. ჯაფარიძე ალექსანდრე ვლადიმერის ძე, სალდათი.
105. გალკინი ვასილი პარამონის ძე, მუშა.
106. ზაქრაძე სტეფანე ტარიმანის ძე, მუშა.
107. ალავერდოვი გიორგი ყარამანის ძე, კანტორშჩიკი.
108. ჩადუნელი ნიკოლოზ პავლეს ძე, მუშა.
109. მაისურაძე ივანე ივანეს ძე, მუშა.
110. გოგიშვილი სიმონ ალექსის ძე, მუშა.
111. ქავთარაძე ვლადიმერ სიმონის ძე, მუშა.
112. რუხაძე ვარლამ ყარამანის ძე, რკინისგზის სახელოსნოს მუშა.
113. მაჩულისი იოსებ ანტონის ძე, მაშინისტი.
114. დემენტიევი პეტრე ივანეს ძე მუშა.
115. კოვალიოვი ივანე ივანეს ძე, მუშა.
116. ზაიცევი ივანე ანდრიას ძე, სალდ.
117. იურლოვი პორფირე თედორეს ძე, სალდათი.
118. დიმიტრიევი დანიელ ალექსის ძე, მუშა.
119. ლელაშვილი გიორგი ზაქარიას ძე, მუშა.
120. კარიაკინი სტეფანე კონსტანტინეს ძე, მუშა.

**თბილისის კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ.**
(ბალშევიკებისა).

---

რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## ამხანაგებო მუშებო, მუშა-ქალებო, სალდათებო და ყველა მშრომელნო!

დღეს, 30 ივლისს უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოს არჩევნები. ყველა პოლიტიკური პარტია გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს, რომ გამარჯვება მოიპოვოს სხვა პარტიებზე. საარჩევნო ბრძოლის შედეგი გადასწყვეტს არა მარტო მომავალი საქალაქო მეურნეობის ბედს, ეს შედეგი დიდ მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის მთელი პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

მეტად საპასუხისმგებლო ეპოქაში ვცხოვრობთ. რევოლიუციამ გაყო მთელი ქვეყანა ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ, რომელნიც ერთი მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძვიან. რევოლიუციის მხარეს არის პროლეტარიატი, ე. ი. მუშათა კლასი და მასთან ერთად ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკნი. რევოლიუციის წინააღმდეგ არის ბურჟუაზია, ე. ი. კაპიტალისტების კლასი და მასთან ერთად მემამულეები და ხალხის ყველა მჩაგვრელები.

ბურჟუაზიას შეძლება არა ქონდა შებრძოლებოდა რევოლიუციას შიგნით და მან ბრძოლის ასპარეზი ფრონტზე გადაიტანა. მთელი ქვეყნის იმპერიალიზმმა მხარი დაუჭირა მას და მან ქვეყანას თავს მოახვია საშინელი ავანტიურა,—დაიწყო შეტევა ისეთ პირობებში, რომლებიც აუცილებელ განადგურებას უმზადებენ ჯარს და რომელთაც ქვეყანა დაღუპვისაკენ მიყავთ. რაკი მან გაიმარჯვა ფრონტზე შეტევის დაწყებით, მან მოაწყო კონტრ-რევოლიუციის შეტევა შიგნით.

ეხლა ყველა ხედავს, რომ კონტრ-რევოლიუცია ძლიერდება. კონტრ-რევოლიუცია ხოცავს და იარაღს ყრის რევოლიუციონურ მუშებს და სალდათებს, შლის რევოლიუციონურ პოლკებს, ხურავს, ატუსაღებს გამოცდილ და რევოლიუციისთვის თავდადებულ ბელადებს, ანგრევს მუშათა ორგანიზაციებს და აცხადებს სიკვდილით სასჯელის აღდგენას, რომელიც მოსპეს სისხლის მსმელი ნიკოლოზის სიკვდილიდან გადასარჩენათ.

სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა რევოლიუციასა და კონტრ-რევოლიუციის შორის. ვინ გაიმარჯვებს მათ შორის—ეს დამოკიდებულია ძალთა ურთიერთობაზე. რევოლიუციის ძალები გაცილებით სჭარბობენ თავისი რიცხვით კონტრ-რევოლიუციის ძალებს. რევოლიუციის მხარეს არის ქალაქის და სოფლის პროლეტარიატი, ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკნი, უმიწაწყლო გლეხობა, ყველა მშრომელნი, ყველა დაჩაგრულნი. კონტრ-რევოლიუციის მხარეს არის ერთი მუჭა მდიდრები და მათი დამქაშები. დიდი და ძლიერია რევოლიუციონური ბანაკი, მაგრამ ის სუსტია მით, რომ მას აკლია ორგანიზაციული შეკავშირება, აკლია შეგნება. საუკუნოებით უმეცრებაში ჩაჭედილი ის ყოველთვის ვერ არჩევს თავის მტერს და მოყვარეს, მას ყოველთვის არ ესმის თავისი ინტერესები.

პირიქით, კონტრ-რევოლიუციონური ბანაკი, თუმცა მცირე რიცხოვანია, მაგრა ის ძლიერია თავისი ორგანიზაციით და შეგნებით.

რევოლიუციამ უნდა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები, უნდა მოიპოვოს ახალი უფლებები, უნდა გადაიქცეს ერთად-ერთ ძალა-უფლებათ. თანამედროვე მომენტის უმთავრესი საკითხი ძალა-უფლების საკითხია.

ქალაქის თვითმართველობა ძალა-უფლების ორგანოა და რევოლიუციამ უნდა ჩაიგდოს ის ხელში. ბურჟუაზიის ხელში ის გააძლიერებს კონტრ-რევოლიუციას, მძიმე ლახვარს დასცემს რევოლიუციას.

# № 8 ხმა მიეცით სიას № 8

იბადება კითხვა, ვის უნდა მივსცეთ ხმა, ვინ უნდა გავიყვანოთ ქალაქის საბჭოში, რომ გადავაქციოთ ის დემოკრატიის ორგანიზაციათ, რევოლიუციის ორგანოთ.

აშკარა არის, რომ შეუძლებელია ხმა მივსცეთ ბურჟუაზიას, შეუძლებელია ხმა მივსცეთ ბურჟუაზიულ პარტიებს. ბურჟუაზია ახრჩობს რევოლიუციას და ახალ ბორკილებს უმზადებს ხალხს. პროლეტარიატმა უნდა გამოდევნოს ის ყველა პოზიციებიდან, პროლეტარიატმა უნდა გამოგლიჯოს მას ხელიდან მთელი ქალაქის თვითმართველობა. ბურჟუაზიას არც ერთი ადგილი არ უნდა ექნეს ქალაქის საბჭოში.

არის პარტიები, რომლებიც პირდაპირ თუ არა პირდაპირ მხარს უჭერენ ბურჟუაზიას, ურიგდებიან მის ბატონობას, მასთან თანამშრომლობენ. ეს პარტიები არა სწყვეტენ კავშირს ბურჟუაზიასთან, ცალი ხელით ხალხს ეპოტინებიან, მეორეთი ბურჟუაზიას ეზლაუქებიან, აწარმოებენ შეთანხმების პოლიტიკას, ასუსტებენ რევოლიუციონურ ბრძოლას, სთმობენ ხალხის ინტერესებს ბურჟუაზიის სასარგებლოთ. ეს წვრილ-ბურჟუაზიული პარტიებია, რომლებიც დგანან პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შუა და პირობების მიხედვით მზათ არიან დღეს პროლეტარიატს ამოუდგენ გვერდში ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ხვალ ბურჟუაზიასთან ერთათ პროლეტარიატის წინააღმდეგ გაილაშქრონ. ასეთი პარტიებია: პარტია სოციალ-დემოკრატ-მენშევიკებისა და პარტია სოციალისტ-რევოლიუციონერებისა.

ეს პარტიები ყველაფერში ერთათ მიდიან, შედგენილი აქვთ ბლოკი და და სოლიდარულათ მოქმედებენ ყველ[illegible] [illegible]ობის პარტიებია, და ესი[illegible] [illegible] პასუხისმგებლები არიან [illegible], რომელიც დღეს გამე[illegible] [illegible]ნშევიკ-ობორონცები და [illegible]ევოლიუციონერები, რომელთაც შეადგინეს ეგრეთ წოდებული თავდაცვის ბლოკი, მხარს უჭერენ ომს, მხარს უჭერენ სამხედრო სესხს, მხარს უჭერენ შეტევას.

მათ დაიჩოქეს კონტრ-რევოლიუციის წინ და სამარცხვინოთ უთმობენ, მას პოზიციების მთელ რიგს. მენშევიკებს და ესერებს ედებათ სრული პასუხისმგებლობა ყველა იმ მოქმედებათა, რომელთაც სჩადის გათახსირებული კონტრ-რევოლიუცია. მათი დასტურით ხდება ხოცვა და იარაღის აყრა რევოლიუციონურ მუშებისა და სალდათებისა, დაშლა რევოლიუციონურ პოლკებისა, დახურვა მუშათა და სალდათთა გაზეთებისა, დატუსაღება პროლეტარიატის ბელადებისა, სიკვდილით სასჯელის აღდგენა.

ისინი ევაჭრებიან ბურჟუაზიას, იყოფენ მასთან ძალა-უფლებას, იცავენ მის ინტერესებს; ვერ ბედავენ გაილაშქრონ მის წინააღმდეგ.

არავითარი ნდობა ამ პარტიებს, არც ერთი ხმა ამ რევოლიუციის მესაფლავეთ!

არც ერთი ხმა არც სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს—დაშნაკცუტიუნის, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების და მათ მსგავსთა პარტიებს. ისინი მუდამ აქტიურათ იბრძოდენ რევოლიუციის და ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან ერთათ პროლეტარიატის წინააღმდეგ. ისინი კარგა ხანია გაიცნო დემოკრატიამ და ისინი შეცდომაში ვერ შეიყვანენ ვერც ერთ მუშას, ვერც ერთ სალდათს,

ჩვენი პარტია, შეგნებულ მუშათა და უღარიბეს გლეხთა პარტია, რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკებისა), რომელიც ერთგულათ შერჩა ინტერნაციონალს, მაღლა უჭირავს სოციალიზმის დროშა, დარაჯათ უდგას რევოლიუციის ინტერესებს, ეს პარტია იტანს თავის თავზე კონტრ-რევოლიუციის მთელ იერიშებს. მის წინააღმდეგ ამხედრდა მთელი ბურჟუაზია, მთელი ძველი ქვეყანა ხალხის მტარვალთა და მჩაგვრელთა, რომელთაც მხარს უჭერს ყველა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები, რევოლიუციის საქმის მოღალატენი, ის მარტო დგას მთელი კონტრ-რევოლიუციონური ბანაკის წინაშე და მარტო გააქვს ბრძოლის სიმძიმე იმ დროს, როდესაც საერთო მოღალატეობაა რევოლიუციისა. მისი გუშინდელი მეგობრების მხრით.

კონტრ-რევოლიუციონურმა ბურჟუაზიამ მშვენიერათ იცის, საით მიმართოს თავისი იერიშები, რომ გაანადგუროს რევოლიუციონური ბანაკი. ის ჩვენს გაზეთებს ხურავს, ჩვენს ბელადებს ატუსაღებს, ჩვენი წინამძღოლების გაჩირქინებას ცდილობს. ის ცდილობს თავი მოსჭრას რევოლიუციას, რომ მერე სრულიათ შემუსროს იგი, თავის ჯოჯოხეთური პლანების განსახორციელებლათ ის შეგნებულეთ ავრცელებს ჭორებს გერმანიის ფულებზე, გერმანიის შტაბთან კავშირზე და ცდილობს გაამავოს და ჩირქი მოსცხოს ჩვენს სახელოვან ბელადს ამხ. ლენინს, რომელიც 30 წელიწადია დაუღალავათ ემსახურება რევოლიუციას.

ბურჟუაზია ცდილობს გაასულელოს ხალხის მასა- რომ მორჩილებაში იყოლიოს და შეუბრალებლათ აძროს მას ტყავი.

სიცრუე, ტყუილი და ჭორი ბურჟუაზიის მხრით უკანასკნელი საშუალებაა, რომელსაც ის მით უფრო ხალისით მიმართავს, რაც უფრო აშკარათ ხედავს ის თავის დაღუპვის მოახლოვებას.

რისთვის სძაგს ბურჟუაზიას ბოლშევიკების პარტია?

იმისთვის, რომ ჩვენი პარტია წინააღმდეგია მძარცველური ომისა, რომელიც მილიონობით ღუპავს ხალხს და ანადგურებს ხალხის სიმდიდრეს.

იმისთვის, რომ ჩვენი პარტია წინააღმდეგია მტაცებელ ბურჟუაზიის უზომო მოგებისა.

იმისათვის, რომ ჩვენი პარტია წინააღმდეგია დროებითი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებისა, იმ მთავრობისთვის, სადაც უმრავლესობა კაპიტალისტები და მემამულეებია;

იმისთვის, რომ ჩვენი პარტია წინააღმდეგია შავრაზმული სახელმწიფო დუმისა, რომელიც კრებს ძალებს რევოლიუციის გასანადგურებლათ;

იმისთვის, რომ ჩვენი პარტია წინააღმდეგია სიკვდილით სასჯელისა.

ჩვენ დავიმსახურეთ სიძულვილი ბურჟუაზიისა და ყველა მისი ყურმოჭრილ ყმებისა.

ჩვენს პარტიას მხარს დაუჭერენ ამ ბრძოლაში ყველა ისინი, ვინც მომხრეა ჩქარა ომის შეწყვეტის და ზავის ჩამოგდებისა, ვინც მომხრეა ხალხთა ძმობისა, ვინც მომხრეა განსაკუთრებულ პროგრესიულ შემოსავლის კვალობაზე გადასახადის, შემოღებისა, ვინც მომხრეა იმისი, რომ ჩამოერთვას კაპიტალისტებს ზედმეტი მოგება, ვინც მომხრეა მუშათა კონტროლისა წარმოებაზე, ვინც მომხრეა იმისი, რომ დამყარდეს ერთი რევოლიუციონური ძალა-უფლებისა, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს,

ჩვენს პარტიას მხარს დაუჭერენ ყველა ისინი, ვინც მომხრეა რევოლიუციის გაღრმავებისა და გაფართოებისა, რომელიც საერთაშორისო რევოლიუციათ უნდა გადაიქცეს.

მდგომარეობა ნათელია. მებრძოლი ბანაკები გამორკვეულია. რყევას ადგილი არ უნდა ექნეს. რევოლიუცია თუ კონტრ-რევოლიუცია, რევოლიუციონური ხალხი თუ მტაცებელთა ჯგუფი ბურჟუაზიისა, ომი თუ ზავი—ასე დგას კითხვა და მშრომელთა კლასი უნდა ეცადოს კითხვა თავის სასარგებლოთ გადაწყვიტოს.

ამხანაგებო მუშებო, სალდათებო და ყველა მშრომელნო!

ერთგულათ შეუდექით საქმეს! თქვენ უნდა დაიპყრათ ქალაქის საბჭო! და ეს უნდა შეასრულოთ წინააღმდეგ ბურჟუაზიისა.

მიდით დღეს ყველა საარჩევნო ყუთებთან და თქვენი ხმის მიცემით დაამტკიცეთ, რომ რევოლიუცია ცოცხალია.

ხმა მიეცით პროლეტარიატის პარტიას, სოციალდემოკრატ ინტერნაციონალისტების სიას, ხმა მიეცით ბოლშევიკებს!

ხმა მიეცით ჩვენ სიას

**№ 8-ს!**

ტფ. კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების).

---

## მოწოდება პეტერბურგის კომიტეტისა რ. ს.-დ. მ. პ. ივლისის ამბების გამო.

**რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტია.**

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

ამხანაგებო! 3—4 ივლისს სალდათებისა და მუშების სტიქიური გამოსვლა პეტროგრადში — ბურჟუაზია ცდილობს გამოაცხადოს, როგორც შეთქმულობა, როგორც რევოლიუციის ღალატი. რევოლიუციონურ სალდათებს და მუშებს თავაშვებულ «შაიკებს» (банда) უწოდებს. მუშათა კლასის გამოცდილ ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავის სიცოცხლის საუკეთესო წლები მუშათა საქმის გულისათვის ციხეებში, ციმბირში და ემიგრაციაში გაატარეს—ბინძური პიროვნებები, მსგავსი ალექსინსკისა, საზიზღარი ცილისწამებით სვრიან. მუშები გულდამშვიდებით უნდა დაუკვირდნენ ყოველსავე მას, რაც ხდება,—დააფასონ ის და შესაძლებელი დასკვნები აწონ-დაწონონ.

მთავრობის კრიზისს, რომლის გარშემო უკანასკნელი ამბები დატრიალდა, თავისი ისტორია აქვს.

თებერვალში ბურჟუაზიამ ძალა-უფლება ხელთ იგდო და შეეცადა მით ესარგებლნა არა ხალხის ინტერესების სასარგებლოდ, არამედ ხალხის წინააღმდეგ. ის, ბურჟუაზია, ახალ წესწყობილების ცხოვრებაში გატარებას ხელს უშლიდა, თავის ადგილზე ტოვებდა ცარიზმის (მეფის) დამქაშებს. ის ხელს უშლიდა გლეხებზე მიწა გადასულიყო. ის მუდამ ცდილობდა სალდათები მუშებზე გადაეკიდებია და მით რევოლიუციის ძალებ შორის შუღლი დაეთესა ის აგულიანებდა კაპიტალისტებს, რომელთაც თავის ზღაპრული მოგება არ უნდოდათ ხელიდან გაეშვათ და რომელნიც დაფარულ ლოკაუტებს და იტალიანურ გაფიცვებს აღგენდენ.

20 აპრილს თავის გამოსვლით მუშებმა და სალდათებმა პირველად ნათლად გამოაცხადეს, რომ ისინი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობის (всевластіе) წინააღმდეგნი არიან.

მუშებს და სალდათებს მაშინაც კი შეგნებული ჰქონდათ, რომ ქვეყნის გამოყვანა ამ გაუსვლელ გზიდან (тупикъ), რომელშიაც ის ბურჟუაზიამ მოაქცია, მხოლოდ ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადასვლით შესაძლებელია.

ამის შემდეგ შემდგარმა კოალიციონურმა სამინისტრომ ქვეყნის მდგომარეობა არამც თუ ვერ გააუმჯობესა, არამედ კიდეც გააუარესა.

სამეურნეო-საეკონომიო რღვევა-დაშლისა გამო ქვეყანა დაღუპვის გზას ადგა და ეს პროცესი დღითი დღე ძლიერდება. დღითი-დღე კი არა, ყოველ საათობით სიძვირე იზრდებოდა და ყოველივე ეკონომიური გაუმჯობესებები, რაც მუშათა კლასმა შეუდრეკელი ბრძოლით მოიპოვა, არარად იქცა. სამინისტრო-კი, სადაც უმრავლესობა ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ, კაპიტალის ინტერესებისათვის რომ ხელი შეეხო ვერ ბედავდა და მხოლოდ აღთქმა-დაპირებით კმაყოფილდებოდა. ბრძანებების (приказъ) პოლიტიკა და პოლკების დაშლის (расформированіе), რომელიც მინისტრი კერენსკის პრაქტიკას შეადგენდა, პეტროგრადის გარნიზონის მასსას აღიზიანებდა და სიმშვიდეს უკარგავდა.

ყოველივე ამან დროებით მთავრობიდან კადეტების გასვლასთან ერთად, ერთი მხრივ, კრიზისი შექმნა, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო, რომ სალდათებისა და აგრეთვე მუშების მასსები ქუჩებში გამოსულიყვნენ.

მარა სალდათებს ახსოვთ 20 აპრილი და ბურჟუაზიისაგან მოელიან ძლეტა-ხოცვას. ამიტომ ისინი სადემონსტრაციოთ შეიარაღებული გამოვიდენ. ბურჟუაზიამ ამითაც ისარგებლა—პროვოკაციონული გამოსროლებით ჰან შეტაკებები და მსხვერპლები გამოიწვია.

ეს საკმაო შეიქნა იმისათვის, რომ ყოველივე ეს შეიარაღებულ აჯანყებად მოენათლათ და რეპრესიები მოეთხოვათ.

ყველა შეგნებულ მუშის და სალდათისათვის ცხადია ბურჟუაზიის სიცრუე. ცხადია, რომ მასსებს, რომელნიც მთელი ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადასვლას თხოულობდენ, არ განუზრახავთ იარაღის საშვალებით გადაეწყვიტათ ეს საკითხი, ვინაიდან ძალა, რეალური ძალა, მასსების ხელში იყო. მოძრაობა იმიტომ-კი არ შეწყდა, რომ ის დამარცხეს, არამედ იმიტომ, რომ ძალა-უფლების საკითხი, საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოების სიეზდს გადაეცა საბოლოოთ გადასაწყვეტად, — თავისთავად ცხადია დემონსტრაცია უნდა შეწყდარიყო, რადგანაც ის იყო საბჭოს ძალა-უფლებისათვის მომხდარი დემონსტრაცია, და არა საბჭოების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყება.

რა მოყვა მოძრაობას?

უკვე 4 ივლისს აღინიშნა მოძრაობის შედეგები:

სამინისტროდან კადეტების გასვლამ საბჭოს უმრავლესობა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო, ვინაიდან კადეტები ამ გასვლით საბჭოს უმრავლესობასთან შეთანხმებას არღვევდენ. ის კომპრომისული (დათმობითი), ხელახალი შედგენილი სამინისტრო, რომელიც ბურჟუაზიის და სოციალისტების თითო-ოროლა დარჩენილ წარმომადგენელთაგან შესდგება, რომელიც ახლა განაგებს (ქვეყანას), სრულიად არ არის საუკეთესო ნაბიჯი იმ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რომელშიაც კადეტების გასვლის შემდეგ საბჭოს უმრავლესობა მოექცა. რომ დღევანდელი სამინისტრო კამბინაცია მთავრობას წარმავალ (გადასვლითი) ფორმას წარმოადგენს—ეს უეჭველია და ამას ყველა აღიარებს.

ბურჟუაზია, ნათლად ხედავს რა, რომ მცხოვრებლების უმეტესობა მასთან ერთად არ მიდის, რომ ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადასვლა ახლო მომავლის საკითხია, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ სიცრუით, ცილისწამებით და დაშინებით იძულებული გახადოს საბჭოები კონტრრევოლიუციის გზას დაადგენ.

ფრონტიდან წინდაწინ გამოწვეული ჯარი მუშებს მიუსიეს. რეაქციონური აფიცრობა საბჭოებს ძალას ატანს და რევოლიუციონურ პეტროგრადის დანგრევას და სამხედრო დიქტატურას მოითხოვს.

სამხედრო დიქტატურა, სამხედრო მდგომარეობა—აი ის ნამდვილი გზა რესტავრაციისაკენ (ძველის აღსადგენად), რომელიც ბურჟუაზიას ერთად ერთ გამოსასვლელ გზად მიაჩნია,—აი ის გზა, რომელზედაც დადგომას კაპიტალისტები საბჭოებს ურჩევენ.

მეორე ერთად-ერთი სწორე (ჭეშმარიტი) გზა—ეს არის ის გზა, რომელიც რევოლიუციონურ პროლეტარიატის პარტიამ, ჩვენმა პარტიამ უჩვენა,—ეს არის ბლოკი ყველა ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ. ეს არის დემოკრატიის გაბატონებელი საშუალება. ეს არის კაპიტალის მტაცებლობის (ავაზაკობის) წინააღმდეგ უებარი საშვალება.

საბჭოების უმრავლესობის წინ არის მხოლოდ ორი გზა: ან მუშებთან ერთად კაპიტალისტების წინააღმდეგ ან კაპიტალისტებთან ერთად მუშების წინააღმდეგ. ან სამხედრო დიქტატურა, ან დემოკრატიის გაბატონება,—სხვა მესამე გზა არ არის. ცხოვრება ჩვენ არ გვაცდის. ერთს ალაგას შეჩერება ყოვლად შეუძლებელია.

მარა, სამხედრო დიქტატურა ქვეყანას სამეურნეო-საეკონომიო რღვევა-დაშლიდან ვერ დაიხსნის, თავისუფლებას ვერ განამტკიცებს, გლეხებს მიწას ვერ მისცემს—ეს ძველი დროს დაბრუნებაა. ეს გზა დაღუპვას უქადის ქვეყანას. ცხოვრება სხვა გზას გვიჩვენებს, ჭეშმარიტ თავისუფლებისკენ მიმავალ გზას—დემოკრატიის გაბატონებისაკენ. ჭეშმარიტ ძმობისაკენ—ყველა გაჭირვებულ-დაჩაგრულთა, ყველა ექსპლუატაციით გაძვალტყავებულთა შეერთებისაკენ, ყველა ქვეყნის პროლეტარების ძმობისაკენ. ჭეშმარიტ თანასწორობისაკენ—კლასსობრივი ბატონობის მოსპობისაკენ, ეკონომიურ მონობის, სიღარიბე სილატაკის, ექსპლოატაციის განადგურებისაკენ, სოციალიზმისაკენ.

მხოლოდ ეს გზა გამოიყვანს მთელ ქვეყნიერებას იმ გამოუსვლელ გზიდან (тупикъ), რომელშიაც ბურჟუაზიის მტაცებლობითი (ავაზაკურ) პოლიტიკამ ის მოაქცია. და ჩვენ გაბედულათ, მიუხედავად ბინძურ ცილისწამებისა, დევნისა, გაძევებისა, ცემა-ტყეპისა და დაჭერა-შეპყრობისა, მოვუწოდებთ ყველა პატიოსანთ და მამაცთ, ყველა მათ, ვისთვისაც მუშათა კლასის, ყველა გაჭირვებულების და ექსპლოატაციით გაძვალტყავებულების ინტერესები ძვირფასია საერთაშორისო სოციალიზმი წითელ დროშის ქვეშ შეერთდენ—მონობის წინააღმდეგ! კაპიტალისტების წინააღმდეგ, კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ! ჩვენი გაზეთები დახურულია. ჩვენ გვდევნიან და გვცემენ. მარა ჩვენი ხმა-მოწოდება ისევ (ძველებურათ) გაბედულათ და მედგრათ გაისმის: „გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა რევოლიუციას", „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

პეტროგრადის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

---

## ხსნა რევოლიუციაშია.

კონტრ-რევოლიუცია გამალებული მუშაობს. მან ვერ მოახერხა 3—4 ივლისს გამოეწვია სამოქალაქო ომი და ძმათა სისხლით მოერწყო პეტროგრადის ქუჩები. რევოლიუციონური ლოზუნგებით გამოსულმა ჯარმა და მუშათა კლასმა მწყობრათ დაიხია უკან და მით მოუსპო ბურჟუაზიას საშუალება დამტკბარიყო დემოკრატიის ძალთა არევ-დარევით. ეს უკან დახევა მოხდა შეგნებულათ და არა როგორც დამარცხების შედეგი, რადგან შეიარაღებულ ხალხს შეძლება ჰქონდა ულმობელათ გასწორებოდა მასზე თავდამსხმელთ და ძვირათ დაესვა თავისი „დამარცხება".

დემოკრატიამ უკან დაიხია, რომ უფრო დარაზმულათ, უფრო მეტი ძალებით გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს რევოლიუციის მტრებს. ბურჟუაზია ცდილობს ეხლავე გააჩაღოს ბრძოლა და რევოლიუციონურ ბანაკზე სისტემატიური თავდასხმა აწარმოოს. მას გამუდმებული იერიში მიაქვს რევოლიუციის ყველა პოზიციებზე, სპობს სისხლით მოპოვებულ ხალხის უფლებებს და ამაგრებს ნიადაგს თავის ბატონობის განმტკიცებლათ.

მთელი თავისი კონტრ-რევოლიუციონური რისხვა ბურჟუაზიამ პროლეტარიატს და მის პარტიას (ბოლშევიკებს) დაატეხა თავს. ის ატუსაღებს ბოლშევიკების ბელადებს, თხზავს მათ წინააღმდეგ ბინძურ ჭორებს, ხურავს მათ გაზეთებს, ანადგურებს მათ ლიტერატურას, აფორიაქებს მათ ბინებს, უწყალოთ სდევნის მათ ორგანიზაციებს, თვით თავითფეხამდე შეიარაღებული ის იარაღს ყრის შეგნებულ მუშათა რაზმს და ყოველივე მოსალოდნელ საშიშროებას თავიდან იცილებს.

კონტრ-რევოლიუციას კარგათ ესმის, რასაც სჩადის. ის ებრძვის მუშათა კლასს და ამას ანარქიასთან ბრძოლას უწოდებს. ის ბორკავს თავის მ[illegible] მტერს და რევოლიუციის მისი [illegible]ზმიდან ამარტოვებს. ყველა [illegible] იმ გონივრული მოსაზრ[illegible] შემდეგ უფრო ადვილათ შ[illegible] მთელი რევოლიუცია, უფრ[illegible] გაწყვე-

…ოს წელში მთელი დემოკრატია. ის ვერ …ეჩერდება მარტო მოწინავე რაზმზე, …ნ უნდა იერიში მიიტანოს მთელ …ევოლიუციაზე და ამის უტყუარი ნიშ…ები უკვე არის. სიტყვის და კრების …ავისუფლება ცარიელ სიტყვათ გადა…ქცა, პიროვნების ხელშეუხებლობის ნაც…ლათ აღდგენილ იქნა სიკვდილით სას…ჯელი. დღეს კონტრ-რევოლიუცია უე…ჭველათ სჭარბობს ძალით თავის მოსისხ…ლე მტრებს. მან თავის წინ დაიჩოქა …ვრილი ბურჟუაზია და მისი ხელით თა…ვის სანუკვარ საქმეს აკეთებს. წვრილი …ურჟუაზია, რომლის დაუდევარი და …იმტკიცეს მოკლებული პოლიტიკა გა…ეფებულია მუშათა, სალდათთა და …ლეხთა დეპუტატების საბჭოებში, ვერ …ამაგრდა იმ პოზიციაზე, რომელზედაც …ას პროლეტარიატი მოუწოდებდა. მენ…შევიკების და ესერების ხელმძღვანელო…ით მან მხარი დაუჭირა იმპერიალისტურ …ომს, ხელი შეუწყო ავანტიურისტული …შეტევის გამოცხადებას, თავს იდვა აქე…დან წარმოშობილი სისხლის ნიაღვარის …ასუხის-მგებლობა, მონაწილე გახდა იმ …ატასტროფისა, რომელიც შეტევის პო…ლიტიკამ თავს დაატეხა ჯარს და რომ…ლის ულმობელი საშიშროების წინაშე …დგას მთელი სახელმწიფო.

ბურჟუაზიამ კარგათ იცოდა, რომ …შეტევას გერმანიაზე გამარჯვება არ მო…ყვებოდა. მაგრამ ისიც კარგათ იცოდა, რომ ეს დაასუსტებდა რევოლიუციას, გააძლიერებდა ერთა შორის შუღლს და …მტრობას, შორეულ მომავალში გადას…დებდა მოახლოვებულ ზავს და საერ…თოთ ფრონტზე შეტევის დაწყებას შიგ…ნით კონტრ-რევოლიუციის დაწყება მო…ყვებოდა. მისი ანგარიში სწორი გამოდ…გა, მხოლოთ ამაში დღესაც ვერ ერკვე…ვა წვრილი ბურჟუაზია და კონტრ-რე…ვოლიუციის იარაღათ გადაქცეული ის …აგრძელებს პოლიტიკას, რომელიც სა…მარეს უმზადებს მთელ დემოკრატიას და როგორც მის ნაწილს,—თვით წვრილ …ბურჟუაზიასაც.

საქმის ვითარება დღეს ისეთია, რომ რევოლიუცია მძიმე პირობებშია ჩავარდ…ნილი. მაგრამ არაჩვეულებრივ პირობებ…ში სწარმოებს დღეს რევოლიუცია და შე…უძლებელია კონტრრევოლიუციამ დიდ…ხანს იბოგინოს, მან ცხოვრებაში ღრმა …ფესვები გაიდგა, დღის წესრიგში დაყე…ნებული კითხვები აუცილებლათ რევო…ლიუციონურ ზომებს მოითხოვს. მათი გადუჭრელობა, ან დროებით გადადება …ასაზრდოვებს რევოლიუციას, ამზადებს …უფრო მრისხანე ქარიშხალს, რომელსაც …ვერ დაუმაგრდება ვერავითარი კონტრ…რევოლიუციონური ძალა.

ქვეყანა საშინელი კატასტროფის წი…ნაშე იმყოფება. რევოლიუციის გარეშე …ხსნა არ არსებობს. ბურჟუაზია ცდი…ლობს ომი გაახანგრძლივოს, წარმოების …და სასურსათო კრიზისი კიდევ უფრო …გაამწვავოს, მიწის საკითხი უფრო და …უფრო აწეწოს, რომ თუ თავის ბატო…ნობას ვერ შეინარჩუნებს, თავისთავთან …ერთად ქვეყანაც უფსკრულში გადაჩე…ხოს. მისი პლანები ჩაიფუშება, წაფორ…ხილებული რევოლიუცია კვლავ გამაგრ…დება, ის დაიხსნის ქვეყანას განადგურე…ბისაგან.

**ჩვენებური.**

## კონტრ-რევოლიუციამ თავი წამოყო.

პროლეტარიატის და რევოლიუციო…ნური ჯარის გამარჯვებამ პეტროგრადში …დაუვიწყარ თებერვლის დღეებში მთე…ლი რუსეთის ხალხს სრული თავისუფ…ლება მიანიჭა: თავისუფლება კრების, …სიტყვის, წერის, შეკავშირების და სხვ. …რამდენიმე თვის განმავლობაში რუსეთი …ერთათ-ერთ დემოკრატიულ ქვეყანას …წარმოადგენდა, სადაც სრული თავი…სუფლება ბატონობდა. მაგრამ ამ უკა…ნასკნელ დროს ეს თავისუფლება იკვე…ცება და მასთან ერთად დემოკრატიის …ბატონობასაც თანდათან ძალა აკლდება. …საერთაშორისო დემოკრატიის საუკეთე…სო ბელადები ან დაჭერილია დროებითი …მთავრობის მიერ, ან სარდაფებში …იმალებიან, როგორც სისხლის მსმელი …ნიკოლოზ რომანოვის დროს. რევოლიუ…ციონური სოციალდემოკრატიის გაზეთე…ბი ან დაკეტილია ან კეტავენ. ახლა …ერი კრებების და მიტინგების აკრძალ…ვა მიმდგარი. მაგრამ სალდათების კრებები ფრონტზე უკვე აკრძალულია. სიკვდილით დასჯა ისევ შემოღებულ იქმნა. იმავე დროს კონტრ-რევოლიუციონერებს გზა გახსნილი აქვთ თავისუფალი პროპაგანდისა და აგიტაციისათვის. იმათი გაზეთები თავისუფლათ გამოდის, იმათი კრებები თავისუფლათ იმართება. ხმა გაკმენდილი და ჩასამარებული 3 ივნისის სახელმწიფო დუმა, ისევ ასულდგმულდა და რევოლიუციის და დემოკრატიის წინააღმდეგ აშკარათ და უკმეხათ ილაშქრებს.

ერთი სიტყვით პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხკაცობის პარტია,—პარტია, რომელიც დღიდან დაბადებისა რუსეთის რევოლიუციას და დემოკრატიას ერთგულათ ემსახურებოდა და ემსახურება, დღეს მავნებლათ, მოღალატეთ არის გამოცხადებული ბ.ბ. კერენსკის და წერეთლის მიერ და იმის წინააღმდეგ საბრძოლველათ ყოველგვარი საშუალება ბრბოს მიერ თვითგასამართლებამდე ნებადართულია. ბურჟუაზიული პრესა ვინ იცის რას არ იგონებს სოციალდემოკრატების ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომ მათ წინააღმდეგ შეუგნებელი მასსა აამხედრონ, რომ ხალხის თვალში იმათ სახელი გაუფუჭონ. ბურჟუაზიულ პრესას ამ მხრით არც მენშევიკ-ობორონცების და ესერების პრესსა ჩამორჩა. გაზ. «ერთობა» თავის მოწინავე წერილში (№ 93) პირდაპირ აცხადებს, რომ ,,მათი (ე. ი. ლენინელების) პროვოკატორული და მოღალატოობრივი მოქმედება უკვე დამტკიცებულიაო‘‘. ამათ, რასაკვირველია, არა უწყიან, რასა იქმენ. ვინაიდან, თუ დღეს ბურჟუაზიას და მემამულეებს ბოლშევიკების დეზორგანიზაცია და დაუძლურება სწადიათ, ხვალ იგივე ბურჟუაზია და მემამულეები მენშევიკებსაც და ესერებსაც ასევე მოექცევიან. მაგრამ ამ ვაჟბატონებს ბოლშევიკები იმდენათ ეჯავრებათ, რომ იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში თავის საკუთარ ინტერესებსაც კი ივიწყებენ.

ამნაირათ მდგომარეობა მართლაც საშიშია, რევოლიუციის მიერ მოპოებული თავისუფლება უკვე განსაცდელშია. რამ გამოიწვია ასეთი მდგომარეობა, ვისი წყალობით ჩავარდა ეს თავისუფლება ასეთ განსაცდელში? ვინ, რომელი პარტიაა აქ პასუხისმგებელი? ეს ვალდებულია ნათლათ იცოდეს ყველამ, ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა მუშამ, გლეხმა და სალდათმა.

ბურჟუაზია და მემამულეები რომ ხალხის მტერია, ეს ყველა ჩვენგანმა კარგათ იცის. რევოლიუციამდე ამ კლასების ხელში იყო სახელმწიფოს მთელი ძალა-უფლება, რომანოვები და სტოლიპინები იმათ ნება-სურვილებს ასრულებდენ; დღევანდელი მტაცებლობითი ომი იმათ გულისთვის დაიწყო. მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ რევოლიუციამ ამ კლასებს გამოგლიჯა ხელიდან ეს ძალაუფლება და იგი ხალხის წარმომადგენლებს გადასცა. ამ უკანასკნელებს ყოველგვარი საშუალება უნდა ეხმარათ ამ ძალა-უფლების თავის ხელში შესანარჩუნებლათ. ამას თხოულობდა რევოლიუციის დაცვის ინტერესები, ამას თხოულობდა ბრძოლით მოპოებული თავისუფლება. მაგრამ ასე არ ფიქრობდენ მენშევიკების და ესერების ბელადები, რომლებიც რევოლიუციის სათავეში მოექცენ. იმათ სრულებით ვერ გაიგეს რევოლიუციის აზრი და მნიშვნელობა. მენშევიკებს და ესერებს რევოლიუციის განვითარების შეეშინდათ, ვაი თუ ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ სოციალისტური რევოლიუციის ხასიათი მიიღოსო, და ამიტომ მისი შეჩერება, მისი ალაგმვა მოიწადინეს. იმათ გადაწყვიტეს, რომ რუსეთის რევოლიუცია წმინდა ბურჟუაზიული-რევოლიუციაა და ამიტომ იგი ამ წერტილზე უნდა შეჩერდეს და ერთი ნაბიჯიც წინ არ უნდა იქნას გადადგმული. ამიტომ რევოლიუციონური პროლეტარიატის და გაღატაკებული გლეხკაცების სურვილებს ისინი წინ გადაეღობენ. სამაგიეროთ მენშევიკებმა და ესერებმა რევოლიუციის პირველ დღეებში დაშინებულ ბურჟუაზიას და მემამულეებს მიმართეს და მთელი ძალა-უფლების იმათ ხელში გადაცემა მოინდომეს. ეს იყო რევოლიუციის და აჯანყებული ხალხის ღალატი, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ეს სხვა საკითხია.

თავის თავათ იგულისხმება, რომ სახელმწიფო ძალა-უფლების სავსებით ბურჟუაზიის ხელში გადასვლა რევოლიუციის ხანაში შეუძლებელი შეიქნა. რევოლიუციონური ორგანოების—მუშების, სალდათების და გლეხების საბჭოების არსებობის დროს ბურჟუაზიის სრული ბატონობა შეუძლებელი იყო. მაგრამ მენშევიკების და ესერების ტაქტიკამ გამოიწვია და შექმნა ერთი მხრით ორი მთავრობა—მთავრობა რევოლიუციონური საბჭოების და დროებითი მთავრობა, სადაც კონტრ-რევოლიუციონურ კლასების წარმომადგენლებმა მოიკალათეს, მეორე მხრით ის ღრმა წინააღმდეგობა, რომელშიაც მენშევიკების და ესერების ლიდერები ჩაეფლენ და რომლიდანაც განთავისუფლება მათ დღემდისაც ვერ შესძლეს და ვერც შეძლებენ.

ბურჟუაზიამ და მემამულეებმა სიამოვნებით მიიღეს მენშევიკების და ესერების წინადადება მთავრობაში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ მიიღეს იგი იმ აზრით, რომ მთელი ძალა-უფლება სავსებით იმათ ხელში გადასულიყო, ბურჟუაზია და მემამულეები საქმის ხალხია; იმათ კარგათ ესმით თავისი ინტერესები. კარგათ ესმით ისიც; თუ სახელმწიფო ძალაუფლება როგორი ძლიერი იარაღია კლასობრივი ინტერესების დასაცავათ, იმათ კარგათ ესმით აგრეთვე ისიც, რომ კლასობრივ სახელმწიფოში შეუძლებელია ერთ და იმავე დროს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასის ბატონობა. ერთი სიტყვით, იმათ სწადიათ სრული ბატონობა; იმას არ შეუძლია სახელმწიფო ძალა-უფლების განაწილება მეორე კლასისთვის, და ისიც თავისი მესაფლავე პროლეტარიატის და გლეხ-კაცობისთვის და აი დროებითი მთავრობის ყველა ეს კრიზისები, რის მოწამენი ჩვენ ვართ, კადეტების დროებითი მთავრობიდან გაქცევა აიხსნება მით, რომ ბურჟუაზია აწარმოებს რეალურ პოლიტიკას, იგი დგას მკვიდრ ნიადაგზე, ე. ი., მას უნდა მტკიცე და მაგარი მთავრობა თავის საკუთარ ხელში ქონდეს, მენშევიკებს და ესერებს კი საქმე სულ სხვანაირათ აქვთ წარმოდგენილი: მათ გონიათ, რომ შესაძლებელია, ცხვარი და მგელი ერთათ ძოვდენ, ისინი ფიქრობენ ორი მოწინააღმდეგე და მოქიშპე კლასსის გაერთიანებას, იმათ სწადიათ, რომ პროლეტარიატმა სახელმწიფო ძალა-უფლება გაინაწილოს ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან, ვერც თეორიამ და ვერც პრაქტიკამ იმათ ჭკუა ვერ ასწავლა, რომ ეს უტოპიაა, რომ ბოლოს და ბოლოს ასეთი ტაქტიკა პირდაპირ კონტრ-რევოლიუციის სამსახურია და მეტი არაფერი. და მართლაც ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ კონტრ-რევოლიუციამ დღეს მაღლა წამოყო თავი, სახელმწიფოს მთელი ძალა-უფლება არსებითათ ბურჟუაზიის და მემამულეების ხელში გადავიდა; რევოლიუციონური პროლეტარიატის და ხლეხ-კაცობის დიქტატურის ადგილას ჩვენ მივიღეთ ბურჟუაზიის დიქტატურა კერენსკის თავმჯდომარეობით.

აი სადამდის მიგვიყვანა მენშევიკების და ესერების ტაქტიკამ. რასაკვირველია, სანამ ისინი ბურჟუაზიის დიქტატურას გზას გაუკაფავდენ, საჭირო იყო რევოლიუციონური პროლეტარიატის, ჯარის და გლეხობის დაქსაქსვა, იმათში არევდარევის შეტანა, რევოლიუციის ერთგული და თავგამოდებული ბელადებისთვის ნდობის დაკარგვა და სახელის გაფუჭება, და რამდენათაც ამას ადგილი ქონდა, ეს სავსებით მენშევიკების და ესერების საქმეა, მათ სამარცხვინოთ.

აშკარაა: არც მენშევიკები და არც ესერები რევოლიუციის მეთაურებათ არ ვარგიან. მთელი თავისი მოქმედებით იმათ შეუწყვეს ხელი კონტრ-რევოლიუციის გამაგრებას, იმათ გამოიყვანეს მოქმედების ასპარეზზე კონტრ-რევოლიუციონური სახელმწიფო დუმა პურიშკევიჩებით და მილიუკოვებითურთ. იმავე დროს კი ისინი ატყვევებენ და ბურთს ჩრიან პირში რევოლიუციონური და სოციალისტური პროლეტარიატის ნამდვილ გამოცდილ ბელადებს.

შეგნებული მუშა, სალდათი და გლეხი ვერ მისცემს ხმას ამ პარტიების წარმომადგენლებს.

**ფ მახარაძე.**

# პრესა.

### გაზ. ,,ერთობა‘‘.

ეს რამდენიმე დღეა თბილისში ვიმყოფები. თვალს ვადევნებ ადგილობრივ პრესას. ვკითხულობ გაზეთ „ერთობასაც“ და სიმართლე გითხრათ დღემდის ვერ გამიგია ეს გაზეთი მართლაც კავკასიის სოციალდემოკრატიული ერთ ერთი ფრაქციის ორგანოა თუ რუსეთის კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზიის წისქვილის ამაბრუნებელი დაწესებულება, სადაც ნიღაბ ჩამოფარებულნი მათი აგენტები სხედან და რუსეთის დიდი რევოლიუციის დასასუსტებლათ და სახელის გასატეხათ თავ გამოდებით იღვწიან. სწორედ სინიდისზე ხელაღებული, თავხედი და უპ ტიოსნო უნდა იყოს ადამიანი, გინდ რომელიმე დაწესებულება, რომ მან წარბშეუხრელათ განაცხადოს ის, რაც ამ რამდენიმე დღის უკან „ერთობამ“ საჯაროთ აღიარა. ამ გაზეთმა არც აცხელა არც აცივა, და სრულიათ დაუსაბუთებლათ მუშათა კლასის ერთად ერთი საუკეთესო მიმდინარეობა „ბოლშევიზმი“ გერმანიის ოქროთი მოსყიდულ აგენტპროვოკატორებათ მონათლა. ყვითელი პრესის მიერ გამოგონილი საზიზღარი ტყუილი მან ხელზე საგოგმანებელ მარგალიტად მიიღო და მისი ხალას ჭეშმარიტებათ გასაღება მოინდომა. და ჩვენ გადაჭრით ვამბობთ: ეს მან მოიმოქმედა განგებ, წინასწარი განზრახულებით, რომ ს ხელი გაეტეხა ძლიერი მოწინააღმდეგესათვის. ამ მიზნის მისაღწევათ გაზეთი არ მოერიდა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ფეხქვეშ გათელვას. მაგრამ ამ გვარ საზიზღარ ბოროტებაში იგი ისე სამარცხვინოთ გარიყული და განმარტოებული დარჩა, როგორც უმანკო ბავშვებთა შორის ივი განზრახვით შემოპარული ეშმაკი. არც დროებითი მთავრობას, არც პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოებს და არც თბილისის მუშათა და სალდათთა „უწყებას“ არ უთქვამს ის, რაც „ერთობამ პეტროგრადში მომხდარ ამბების შემდეგ წამოროშა „ბოლშევიკების“ შესახებ. და აკი ეს ერთი ხანია ისიც პირში წყალს იგუბებს, როცა ამ ავაზაკურ საქციელს „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“ ღირსეულათ შეხვდენ. საკვირველია ის მოვლენა, რომ მენშევიკების ორგანო „ნამდვილ გმირობას“ იჩენს იქ, სადაც ბოლშევიკებზე „მსჯელობს“. მაგრამ საკმარისია, მან სხვათა შორის კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის წინააღმდეგაც დახძრას კრინტი, რომ იჭვით სავსე, უილაჯო, სუსტი ხასიათის შეყვარებულს დაემსგავსოს და სახე დაღრეჯილმა და თვალცრემლიანია გამვლელ—გამომვლელთ შესჩივლოს: „რა ვქნა, მიყვარს... მიყვარს, მაგრამ... ღ... მლა .. მღალატობსო“...

ჯგუფს, რომელსაც მთელი პარტიის ოჯახის წევრათ მოაქვს თავი და თავის სიძლიერეშიც დარწმუნებულია, არ უნდა ესაჭიროებოდეს ცილის წამებითა და სხვა და სხვა ხრიკებით მოწინააღმდეგის დამცირება—გაბათილება.

სჩანს „ერთობის“ სულის ჩამდგმელები მოკლებულია პირველსაც და მეორესაც.

ამას ამტკიცებს მთელი მათი უკანასკნელი მოქმედება, რაიცა განსაკუთრებით გამოაშკარავებულია ხსენებული გაზეთის 93—№ ში.

**ანათემა.**

### ივლისის ამბების გავლენა ფრონტზე და პროვინციაზე.

16 ივლისს პეტროგრადში გაიხსნა მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების სხდომა, რომელსაც დაესწრენ ზოგიერთი პროვინციის წარმომადგენლები და ფრონტიდან გამოგზავნილი დელეგატები. კრებაზე ნათლათ გამოირკვა, რომ კონტრ-რევოლიუციის საშიშროება აშკარაა; ის უკვე დაუფარავათ ესხმის თავს რევოლიუციას და ცდილობს დაასამაროს ხალხის სისხლით მოპოებული უფლებები. ფრონტზე გენერლები და ოფიცრების უმეტესობა კონტრ-რევოლიუციას თანაუგრძნობენ და მაშასადამე საჭიროა ჯარის სრული რეორგანიზაცია. ასეთივე რეორგანიზაციაა საჭირო მთავრობის ყველა დაწესებულებებისა, რომლნიც დღემდე კონტრ-რევოლიუციის ბუდეს წარმოადგენენ. ამასთანავე აღნიშნული იყო, რომ კონტრ-რევოლიუციის დასამარცხებლათ აუცილებელი საჭიროა მთელი რევოლიუციონური დემოკრატია გაერთიანდეს და მოისპოს ის დევნა და შევიწროება, რომელსაც დღეს განიცდის დემოკრატიის მემარცხენე ფრთა—სოციალ - დემოკრატ - ბოლშევიკების პარტია.

მოგვყავს უფრო დამახასიათებელი მოხსენებები.

**მეათე არმიის წარმომადგენელი ვენგეროვი.**

ამხანაგებო, რევოლიუციონური დემოკრატიის უმაღლესი ორგანოს წინაშე პირფერობა არ შეგვფერის. უნდა ვაღიაროთ ჭეშმარიტება, რა გინდ უსიამოვნო და მწარე იყოს იგი.

შეტევის დაწყების წინ ჩვენი არმიის მძიმე მდგომარეობა აშკარა იყო. სამი წლის ომის შემდეგ პოლკებში გამეფებული იყო დაღლილობა. ჯარს არ უნდოდა სასიკვდილოთ წასვლა და ასეთ პირობებში ძნელი იყო მისი გმირულ საქმეზე მოწოდება. ომის დაწყებიდანვე და მეტადრე რევოლიუციის შემდეგ ყოველი სალდათის არსებობაში მკვიდრათ გაიდგა ფესვები ზავზე ოცნებამ. შეიძლება ამ ზავისადმი მისწრაფებას ხელი შეუწყო ჩვენი პოლიტიკური პარტიებ ს ნაწილის და კერძო პირების აგიტაციამ, მაგრამ ამ აგიტაციის როლი მაინც მეორე ხარისხოვანია. ამ აგიტაციამ მხოლოთ გამოამზეურა ჯარის ღრმა სულიერი განწყობილება.

ჩვენ არ შეგვიმჩნევია ისეთი იდეური აგიტაცია, რომელიც პირდაპირ ყოფილიყოს მიმართული შეტევის წინააღმდეგ და რომელსაც მოეწოდებიოს ჯარი—„ნუ აასრულებთ მთავრობის ბრძანებასო, შეტევის წინააღმდეგი ლოზუნგებით მხოლოთ ბნელი ელემენტები გამოდიოდენ. დამტკიცებულია, რომ პირდაპირ დეზორგანიზატორებათ გამოდიოდენ ჟანდარმები და პოლიციელები. გერმანიის აგენტურამაც, უეჭველია, ერთგვარი გავლენა მოახდინა.

ჯარის გახრწნაში დიდი როლი ითამაშა ზურგიდან მოსულმა მაშველმა პოლკებმაც, მათ მოსვლამდე როტებს შტიკები აკლდა, მათი მოსვლის შემდეგ კი სულიერი განწყობილება.

თუმცა ჩვენი ტეხნიკური ძალა გაცილებით სჭარბობდა მტრისას, მაინც დიდი ღონისძიება იყო საჭირო, რომ პოლკები შეტევაზე გადასულიყვნენ. მიუხედავათ ასეთი პირობებისა, შეტევა მაინც დაიწყო. მარა შეტევაზე გადასულ პოლკებს აღფრთოვანება დიდხანს არ ყოფნიდა. მაშველი ჯარიც არ მოეშველიოდა. დაიწყო რეაქცია. ამით აიხსნება უკან დახევის ფაქტი.

დასავლეთის ფრონტზე რამდენიმე შემთხვევა იყო პოლკების დაშლისა (расформированіе). მარა ეს ზომა ვერ გვიხსნის. თუ დაშლილ პოლკებს უკან ვაგზავნიდით, ეს შურს იწვევდა დარჩენილთა შორის; თუ მათ სხვა პოლკებში ვანაწილებდით, მათ იქაც გახრწნა შექონდათ. აი ამიტომ პოლკების დაშლას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

შევჩერდები კომანდის (აფიცრობის) შემადგენლობაზე და ჯარის ორგანიზაციებზე.

კომანდის დაბალმა შემადგენლობამ,—უნცროსმა აფიცრობამ უეჭველათ გამოიჩინა არაჩვეულებრივი სიმამაცე და გმირობა; ამის მეტი კი ვერაფერი.

რომლისაც საჭირო იყო პირადი თაოსნობა, პლანი, ანგარიში,—ეს თვისებები არაფერში გამოჩენილან. გამოაშკარავდა დაბნეულობა, პირობებთან შეგუების უუნარობა.

საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები—სალდათების საბჭოთა უბრალო წევრები—ამ მხრივ გაცილებით მეტს აკეთებდენ.

რაც შეეხება უმაღლეს კომანდის შემადგენლობას (გენერლები), მისი გადაჭრით კონტრ-რევოლიუციონური სულიერი განწყობილება ეჭვს გარეშეა. ეს ნაწილი თვით მეტათ უნიჭოა, და სასტიკი უარყოფით ხვდება მთავრობის ყოველგვარ ზომებს, რომლებიც ამაგრებენ სალდათების ორგანიზაციებს.

არმიის, დივიზიების და სხვა კომიტეტების მნიშვნელობა კი ლიეზე დიდია. რომ ისინი არ ყოფილიყვნენ, არმიაც არ იქნებოდა, მის მაგიერათ გვექნებოდა ცალკე სალდათების ბრბოები.

ჩვენი არსებითი საქმე ამ ორგანიზაციების გამაგრებაა. მაგრამ მთელი რიგი უკანასკნელ ზომებისა ჯარში დიდ მღელვარებას იწვევს. ყოველ ისეთ ბრძანებას, როგორიც უკანასკნელ დღეებში იყო გამოცემული, მთელი კომანდის შემადგენლობა თავის სასარგებლოთ იყენებს და ეს კი მწვავეთ ხვდება პირველ ყოვლისა სალდათების ორგანიზაციებს. ამიტომ არავითარ ზომას, რომელსაც ამისთვის შეუძლია თუნდ საბაბი მისცეს, არავითარი ადგილი არ უნდა ქონდეს.

**განსაკუთრებული არმიის წარმომადგენელი ფროლოვი.**

ჯარში ხშირათ კითხულობენ, — ანხორციელებენ თუ არა მთელი რუსეთის საბჭოთა სიეზდის დადგენილებებსო. ყოველ მხარეს ეს კითხვები გესმის და მე საჭიროთ მიმაჩნია ალენიშნო, რომ ჯარის დასახსნელათ აუცილებელია, მთელი ძალღონე მოვიკრიბოთ და ეს დადგენილებები ცხოვრებაში გავატაროთ.

ჯარი უნდა დარწმუნდეს, რომ მთელი რუსეთის საბჭოთა სიეზდი მიტინგს კი არ წარმოადგენს, არამედ ის არის მთელი რუსეთის დემოკრატიის ავტორიტეტული ორგანო.

**მეორე არმიის წარმომადგენელი არტემენკო.**

ჩვენს წინ დაისვა საკითხი არმიის კომიტეტებში ბალშევიკების დაშვების შესახებ. ჩვენ ვსცანით, რომ ყველა ორგანიზაციები უნდა დადგენ ძალთა გაერთიანების პლატფორმაზე და ბალშევიკებთან ერთათ ერთხმათ დავადექით შემდეგ დასკვნას: 1) ჩვენ დაღუპვის პირას ვიმყოფებით, 2) საჭიროა დავიწყებას მიეცეს პარტიული შუღლი, 3) ვინც კომიტეტების დადგენილების წინააღმდეგ მიდის, მავნე ელემენტათ ითვლება. ამნაირათ, არმიის კომიტეტები გადაჭრილათ დგანან გაერთიანებული მუშაობის თვალსაზრისზე; ჯარი გაწმენდილ უნდა იქნას ყველა არა საიმედო ელემენტებიდან, როგორიც არიან ჟანდარმები და პოლიციელები.

**მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ხინჩუკი.**

მოსკოვში ამ ჟამათ სულიერი განწყობილება გაურკვეველია. ყველგან გაათრებით სდევნიან ბალშევიკებს. საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მე გავილაშქრე ამ დევნის წინააღმდეგ და ვსცანი, რომ მისი დაშვება არ შეიძლება. ჩვენ კამპანიას ვაწარმოებთ ამ დევნის წინააღმდეგ. ბრბო თავისით უსწორდება არა მარტო ბალშევიკებს, არამედ იმათაც, ვინც მათ იცავს, თითონ მე კინაღამ არ მომკლა ბრბომ ბალშევიკების დაცვის გულისთვის. აუცილებლათ საჭიროა ვაწარმოვოთ ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ კონტრ-რევოლიუციამ თავი მაღლა ასწია.

**ჩრდილო-დასავლეთ ოლქის წარმომადგენელი ოპენიანსკი.**

ჩვენს ოლქში 71 საბჭო მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატებისა. ეს საბჭოები არჩეულია 3 მილიონ მცხოვრებთაგან. მაგრამ სანამ არსებითათ ჩემს მოხსენებას შევეხებოდე მე მოკლეთ გადმოგცემთ პურიშკევიჩის დამახასიათებელ სიტყვებს. მე მას ვაგონში შევხვდი 18 ივნისს. პურიშკევიჩმა სთქვა: «თუ შეიარაღებული ბრბო ქუჩაში გამოვიდაა, ბალშევიკები ამ ბრბოსთან ვერაფერს გააწყობენ და მაშინ კადეტები გამოვლენ ასპარეზზე და ძალას ხელში ჩაიგდებენ, ჩვენი დრო კი ჯერ არ დამდგარა. თქვენ გავიწყდებათ თქვენი უმთავრესი მტერი და ჩვენი მოკავშირე — ეს „ობივატელია“ (განუვითარებელი მდაბიო ხალხი). როცა „ობივატელი“ შეშინდება, ის კადეტებს კი არ მიაშურებს, ჩვენთან მოვა“.

ჩვენ ფრონტზე საბჭოები სრულ სიწყნარეს იცავენ. პეტროგრადი შიშსა და სხვა და სხვა ხმებს მოუცავს, პროვინციაში კი სიწყნარის სრული შეგნებაა გამეფებული. საბჭოები გრძნობენ, რომ მთავრობას არ ეშინიან, რომ საბჭოების ცენტრ. კომიტეტი მტკიცეთ დგას იმ გზაზე, რომელიც მათ საბჭოთა სიეზდმა უჩვენა. მაგრამ საბჭოებს შეეშინდათ, როცა ნახეს, რომ მთავრობა რყევაშია. საბჭოებს შეეშინდათ, როცა გაიგეს, რომ ყველა პოლიტიკური მიცვალებულების გაცოცხლებას აპირებენ მოსკოვის თათბირზე.

რისი შეეშინდათ საბჭოებს? მე მაგონდება ის ახალგაზრდა, რომელიც თავის სოფლელებს არწმუნებდა, რომ მან ისეთი სიტყვები იცის, რომლის წყალობით ვერც ერთი წუპაკი ძაღლი მას ვერ უკბენს. როცა ძაღლებმა ის მაინც დაკბინეს, მან სთქვა: ჩემი სიტყვები ოქროა, ჩემი სიტყვები მარგალიტია, მარა ძაღლებს არ უნდოდათ ბოლომდე მოესმინა. როგორც ძაღლებს არ უნდოდათ ბოლომდე მოესმინათ სოფლის ბიჭის სიტყვები ისე ჩვენი ქვეყნის ცენზიანი ჯგუფები ჩვენს მოსაზრებებს ყურს არ დაუგდებენ. მაშ რა უნდა აქეთოს დროებითმა მთავრობამ მოსკოვში? აი, როცა ეს გაიგეს საბჭოებმა, იმათ მართლა შეეშინდათ.

უნდა პირდაპირ შევხედოთ სიმართლეს. კადეტებმა დაინახეს, რომ მათაც წალეკავს ის ტალღა, რომელიც მათმა გამოსვლამ გამოიწვია და საბჭოებთან და მინისტრ-სოციალისტებთან ისინიც ხრამში გადიჩეხებიან. ამის შიშით იმათ მარცხნივ დაიწიეს. მარა ახლა იმათ ნიადაგი იგრძნეს ფეხ-ქვეშ. თუ ეხლა კადეტები გვიცხადებენ, რომ მათთან ერთათ სიარული არ შეიძლება, აქედან შესაფერი დასკვნა უნდა გავაკეთოთ. საბჭოების მიერ ძალა უფლების ჩაგდება ჯერ კიდევ შორს არის, ჩვენ უნდა მოვიწვიოთ კადეტებზე მემარცხენე, ელემენტები, მტკიცე ხასიათის და ნიჭიერი პირები.

პროვინციაში ამბობენ: საჭიროა მტკიცე ძალა, საჭიროა შემოქმედებითი პოლიტიკა დროებითი მთავრობისა. თუ „პრავდა“ იხურება, უფრო სასტიკი ბრძოლაა საჭირო მემარჯვენე ბანაკის გაზეთებთან.

აქამდე ჩვენი მინისტრები რევოლიუციონურ ძალას კი არ წარმოადგენდენ, ისინი უფრო ცეცხლის მქრობელ რაზმსა გვანან, რომელიც ყველგან მიდიოდა სხვადასხვა გვარი ცეცხლის ჩასაქრობათ. ნამდვილათ კი საჭიროა დაუყონებლათ მიეცეს რამე ხალხს, საჭიროა პირველ ყოვლისა ფინანსიური კითხვის გადაჭრა წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დამფუძნებელ კრებაშიაც უმცირესობაში დავრჩებით.

საჭიროა მედგარი ბრძოლა ზავის სასარგებლოთ. რომ სალდათებმა, მუშებმა და გლეხებმა დაინახონ, რომ ზავის ჩამოსაგდებათ ღონისძიებაა მიღებული.

**ტროცკი.**

მე არ ვიცი, დაესწრო თუ არა დანი (მენშევიკების ბელადი) თუნდაც ერთ მიტინგს ივნისში და ივლისის პირველ დღეებში, სადაც ჩვენ გამოვდიოდით. მე ირადათ 2 ივლისს გამოვედი ტყვის, მფრქვეველთა პოლკის მიტინგზე, სადაც უფრო ძლიერათ იმოდა მოწოდება ივლისის დემონსტრატიული გამოსვლის შესახებ. მე იქ გავაცხადე, რომ ჩვენ პეტროგრადში ძალიან გავასწარით პროვინციას, მარა ჩვენ ვერ გადავახტებით ჩვენს თავს. საჭიროა მივიმხროთ გლეხთა მასსა (ხმები: ეს შეუძლებელია).

ეს შესაძლებელია. მე მწამს, რომ რუსეთის დემოკრატია სწორ გზაზე იდგა, როცა მოუწოდებდა, რომ ძალა-უფლება საბჭოების ხელში უნდა გადავიდესო. ჩვენ ვიცით, რომ პეტროგრადში აჯანყებას 24 საათში შეეძლო ჩამოეგდო სამინისტრო და მის ალაგას სხვა აერჩია, მარა ეს ავანტიურა იქნებოდა, რადგან სამინისტროს მასსა უნდა უჭერდეს მხარს (ზალაში დიდი ხმაურობაა, თავმჯდომარე ძლივს ამყარებს წესრიგს). ტროცკი კი მიმართავს ზალას და ამბობს: აქ იმყოფებიან თქვენი არა-მკითხე მოკავშირეები — „ბირჟევკის“, «რუსკაია ვოლიას» და სხვა ბინძური ორგანოების წარმომადგენლნი, რომლებიც ჩვენ ისევე გვეზიზღება, როგორც თქვენ. ხვალ ამ გაზეთებში დაბეჭდავენ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალსა სდებენ დემოკრატიის უმრავლესობას. მე გთხოვთ თქვენ ყურადღება მიაქციოთ დემონსტრაციის უმთავრეს მხარეს.

ჯერ კიდევ ორ ივლისს, როცა ჩვენ ც. კ-ში სხდომა გვქონდა, ჩვენ გავიგეთ რომ დემონსტრაცია მზადდება. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გვცოდნოდა, ჩვენ არ ვიცოდით, საიდან მოდიოდა ეს ხმები. იმ დროს, როდესაც კადეტები სამინისტროდან გამოვიდნენ, ვიღაცას იდუმალი ხელი ცდილობდა დაეტუსაღებია კერენსკი და ჩერნოვი. ეს ამტკიცებს, რომ შეიარაღებული ცდილობდენ ესარგებლათ კადეტების გამოსვლით (ხმაურობაა).

ეს ფაქტები გადაეცემა ისტორიას და ჩვენ ვცდილობთ სისწორით აღვაგვინოთ ისინი მე ვამტკიცებ, რომ მატროსებმა და მუშებმა არ იცოდენ, რა ხდებოდა თავრიდის სასახლის შესავალში. მე იქ სიტყვა წარმოვსთქვი და დავინახე რომ შესავალთან სდგას არამზადების ჯგუფი. მე ამაზე მაშინ უთხარი ამხ. ლუნაჩარსკის და ამხ. რიაზანოვს, მე მათ უთხარი, რომ ესენი ახრანკას აგენტებია და ცდილობენ შევარდენ თავრიდის სასახლეში. როდესაც გამოვიდა ჩერნოვი, ეს არამზადები ცდილობდენ ვითომდა მასის სახელით დაეჭირათ ჩერნოვი, მე მივირბინე მათთან და შევნიშნე, რომ ეს ჯგუფი ათი კაცისაგან შესდგებოდა და ცდილობდა სისრულეში მოეყვანა თავისი ბინძური საქმე. 10.000 კაცში რომ იდგენ მე მაინც ვიცნობ მათ. როცა მე ეს მასსა გაუმხილე, აღმოჩნდა, რომ არც ერთი მატროსი და მუშა მათ არ იცნობდა. ბრბო დაიშალა და ჩერნოვი სასახლეში დაბრუნდა. არავინ არ იცოდა, რომ კერენსკი ფრონტზე იყო ჩასული და მისი დაჭერის აზრიც ფრონტიდან უნდა გამოსულიყო.

წერეთლის გამოხმობას აზრათ არ ქონია მისი დატუსაღება, რადგან მუშები და მატროსები ამბობდენ: გამოვიდეს წერეთელი და აგვიხსნას საქმის ნამდვილი მდგომარეობაო. თუ სხვა ხმებიც ისმოდა, ეს უეჭველათ იმ წრიდან იქნებოდა, რომელიც ჩერნოვის დატუსაღებას ცდილობდა. სამი მეოთხედი აჯანყების მთელი კონსტრუქციისა აშენებულია იმაზე, რომ იყო ცდა მინისტრების დაჭერისა, (ხმები: არაფერი ამის მსგავსი). უკანასკნელი დღეების პრესამ ეს დაამტკიცა.

შეიარაღებული ხალხის შეიარაღებულ აჯანყებას უნდა ქონდეს მიზანი, რომლის განხორციელებას ეს ხალხი ცდილობს. სხვა რა მიზანი შეიძლებოდა მას ქონოდა. თავრიდის სასახლეს სრულიად არ ყავდა მცველი. შეიარაღებულ ხალხს არ უცდია არც ერთი პოლიტიკური დაწესებულების ხელში ჩაგდება. ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ, შეიარაღებული აჯანყება არა ყოფილა. ეს ამტკიცებს, რომ მოძრაობა იყო სტიქიური და ელემენტარული. რომელშიაც ჩაერივნენ კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები

როცა დანი ლაპარაკობს მუშათა სექციის სხდომაზე, მას ავიწყდება, რომ იქ ჩვენ მოვითხოვდით, რომ გაწმენდილიყო კონტრ-რევოლიუციის ბუდეები, რომლის წარმომადგენლები ეწევიან მუშაობას მუშათა და სალდათების მასაში. 3 ივლისს ჩვენ მოვითხოვდით ამას ჩვენი უფლება-აღჭურვილ ორგანოდან და ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ ბრმები არ ვიყავით. ჩვენ ბრალსა გვდებენ იმაში, ვითომ ჩვენ ვქმნიდეთ მასის ძლიერ განწყობილებას. ეს არ არის მართალი, ჩვენ მხოლოთ ვცდილობთ ის ფორმა გამოვხატოთ.

როცა მაისში და ივნისში ჩვენ ვუთითებდით, რომ ბურჟუაზიული ჯგუფები საბოტაჟს აწარმოებენ; ჩვენ გვიპასუხებდენ — თქვენ დემაგოგები ხართო. როცა კადეტები წავიდენ, ამხანაგი ჩერნოვი და გაზეთები «დელო ნაროდა» და „რაბოჩაია გაზეტა“ ჩვენს სიტყვებს იმეორებდენ.

გასაკვირველი არ არის, რომ როცა კადეტები წავიდენ, მუშათა მასამ საჭიროთ სცნო გაეფრთხილებია დემოკრატია, რომ ბურჟუაზიულ ჯგუფებთან გაერთიანება სასურველი არ არის. აი რა ნიადაგზე აღმოცენდა მოძრაობა.

მასამ იარაღი აიღო, რადგან იცოდა, რომ კონტრ-რევოლიუცია მუშაობდა.

ჩვენ ეს თქვენთან ერთათ შეცდომათ მიგვაჩნია, ამავე ტრიბუნიდან ამხ. ვოიტინსკი ამბობდა, რომ ბალშევიკები აფრთხილებდენ მასას, არ მოეწყოთ დემონსტრაცია. როცა მასა გამოვიდა, ჩვენ მივხვდით, რომ ჩვენი როლი მდგომარეობს იმაში, რომ მოძრაობაში წესრიგი შეგვეტანა. ჩვენ ვეუბნებოდით ამ მასას: თქვენი ლოზუნგები სამართლიანია, მარა მაინც ნუ გამოხვალთ და სახლში დაბრუნდით.

მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება ერთ გარემოებას. თუ რევოლიუციონურ დიქტატურას მიაჩნია, რომ ჩვენ დანაშაული ჩავიდინეთ, მაშინ ჩვენ უნდა გაგვისწორდენ მთელი რევოლიუციონური ძალის ძლიერებით. ვიღაცამ სთქვა აქ, რომ ჩემი ადრესი არ იციან. ეს ტყუილია, ის ნაჩვენებია ც. კ. წევრთა სიაში. თქვენ თქვენი პასიური დამოკიდებულებით ისეთი ატმოსფერა შექენით, რომ ჩვენთან ერთათ თქვენც დაიხრჩობით. ლენინის და ზინოვიევის წინააღმდეგ ბინძურ ბრალდებებს აყენებენ (ხმები: ეს მართალია, ზალაში ხმაურობაა. ტროცკი განაგრძობს:

ამ ზალაში იმყოფება ხალხი, რომელიც თანაუგრძნობს ამ ბრალდებებს. აქ ისეთი პირებია, რომლებიც მიემხრენ რევოლიუციას (ხმაურობაა, თავმჯდომარე დიდხანს რეკავს ზარს წესრიგის დასამყარებლათ).

აქ არიან მენშევიკები და ესერები, ჩვენი ღრმა, მაგრამ მაინც იდეიური მოწინააღმდეგეები, მარა არიან სხვებიც, რომლებსაც სულ სხვა მიზანი აქვთ.

ლენინი რევოლიუციისთვის 30 წელიწადი იბრძოდა. მე ოცი წელიწადი ვიბრძვი ხალხის მასის დამონავების წინააღმდეგ. ჩვენ არ შეგვიძლია არა გვძულდეს გერმანიის მილიტარიზმი. ეს მხოლოთ იმას შეუძლია სთქვას, ვინც არ იცის, რა არის რევოლიუციონური. მე გერმანიის სასამართლომ 8 თვის ციხე გადამიწყვიტა გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ეს ყველამ იცის.

როცა ამ ზალაში მოიპოვება ხალხი, რომელიც თავის რევოლიუციონურ ბეჭედს ასვამს ჩემს და ჩემი ამხანაგების წინააღმდეგ მომართულ ბინძურ ბრალდებებს, ამით თქვენ კონტრ-რევოლიუციას საშუალებას აძლევთ მან თავისი ენით ილაპარაკოს.

ნურავის მისცემთ უფლებას ილაპარაკოს ამ ზალაში, რომ ჩვენ გერმანიის დაქირავებული პირები ვართ, რადგან ეს გულწრფელი რევოლიუციონერის ხმა კი არ არის, ეს არამზადის ხმაა.

# პარტიული ცხოვრება.

**სიმართლე ივლისის ამბების შესახებ.**

(რ. ს. დ. მ. პარტიის ც. კ. წერილი თბილისის კომიტეტის მიმართ).

პატივცემულო ამხანაგებო! შემთხვევით ვსარგებლობთ, რომ გაცნობოთ უფრო ღირსშესანიშნავი ამბები პიტერიდან საზოგადოთ და ჩვენი პარტიის შესახებ კერძოთ.

3—4 ივლისს იყო დემონსტრაციები. დაიწყო 3 ივლისს საღამოს წინააღმდეგ ც. კ. და პიტერის პარტიულ ცენტრების მოწოდებებისა. როცა წინა ღამით 3 ივლისს გამოირკვა, რომ მუშებისა და სალდათების მასსები მაინც გამოვიდენ და მეორე დღესაც გამოვლენ, ცენ. კომ. გადასწყვიტა მშვიდობიან დემონსტრაციისთვის მოეწოდოს. უკანასკნელი შეიქნა მეტად მრავალ რიცხოვანი, 400—500 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას. 4—5 ივლ სს ღამით ც. კ. გამოიტანა რეზოლიუცია ბოლო მოეღოთ დემონსტრაციისთვის. 5-ს სრულიად სიწყნარე ჩამოვარდებოდა, თუ რომ ღამით არ დაწყებულიყო ბალშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა. «Правда» დაანგრიეს, დილიდან ხიდები დაშალეს, ჩვენი სტამბა დაანგრიეს და სხვა.

ამას მოყვა დაჭერა, ცემა და სხ. მიუხედავათ ყოველგვარ პროვოკაციისა, რომელსაც მიზნათ ქონდა მუშები და სალდათები ქუჩებზე გამოეწვია და გაესრისა შეიარაღებული ძალით ფრონტიდან მოსული სალდათების შემწეობით, რომლებმაც არც იცოდნენ და ვერც ერკვეოდნენ ისინი იმაში, თუ ვის წინააღმდეგ მიყავთ, ც. კ. განაგრძო მოწოდება, რომ სიმშვიდე, თავდაჭერილობა და სიმტკიცე დაეცვათ.

დარაზმულ — მოწესრიგებული კონტრ-რევოლიუცია აშკარათ გამოვიდა. მის წინააღმდეგ ცენტ. აღმ. კომ. არ იბრძოდა. უკანასკნელმა მთელი თავისი ძალა ჩვენი ორგანიზაციების წინააღმდეგ იხმარა.

ახლა საქმე ამ მდგომარეობაშია: დროებით ჩვენ გაზეთი არა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში იმედი გვაქვს, რომ ამ დღეებში მოვაწყობთ ამას. პიტერში სულიერი მდგომარეობა კარგია. გაფანტულობა არ არის. ორგანიზაცია დარღვეული არ არის. ნაწილობით მომხდარ არჩევნებზე ჩვენ ვიმარჯვებთ. რამდენიმე ადგილი მოგებულია: პუტილოვში 2, ფრანკო-რუსეთის ქარხანაში ყველა 7 კაცი (აქამდე იყო მხოლოდ 2 ბალშევიკი) ჩვენია და სხ. სიეზდი არაა გადადებული, 25-ს შევიკრიბებით.

ც. კ. რ. ს.-დ. მ. პ.

**ბ რ ძ ო ლ ი ს ფ ო ნ დ ი.**

— —

ამხანაგებო! თქვენი გაზეთი, თქვენი „ბრძოლა“ თქვენგანვე დახმარებას, გამაგრებას თხოულობს. თქვენი ორგანო, თქვენი სული და გული თქვენს არსებას უნდა შეადგენდეს. იგი დღეს განსაცდელშია: მიეშველეთ თქვენს პირმშო შვილს, გაუწოდეთ მას მტკიცე ამხანაგური ხელი და გამოიყვანეთ გაჭივრებიდან, გაანთავისუფლეთ!!

ამის საშუალება ორია: ერთი კოლექტიური ხელის მოწერა და გაზეთის მუშათა უბნებში გავრცელება. მეორე ფონდისთვის ფულის შეგროვება. ამ ფონდის გასაძლიერებლათ წარმოდგენების, საღამოების და სეირნობის გამართვა. მდგომარეობა ვეღარ იტანს: შეუდექით ახლავე საქმეს და დააყენეთ მკვიდრ ნიადაგზე თქვენი ორგანო!

— —

მივიღეთ ტრამვაის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი ალ. შარაბიძისაგან — 13 მან. და 50 კაპ.

— —

ამხანაგო რედაქტორო!

პროვინციაში მცხოვრებთ არა გვაქვს საშუალება სისტემატიურათ ვიკითხოთ ყოველ-დღიური გაზეთი თუმცაღა დიდი სურვილ-კი გვაქვს ამის. ბოლოს მოვიდა ჩვენამდის ის პირმშო შვილი, გაბედული და შეუპოვარი გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც არის გაგრძელება ლადო კეცხოველის ბრძოლისა და სრულიათ ამართლებს იმ წინასიტყვაობას, რომელიც მას უძღვნა ჩვენმა დაუვიწყარმა ამხანაგმა. ვერაგულათ მეტეხის ციხეში ნიკოლოზის ჯარის კაცის ტყვიით გავმირული ლადო კეცხოველი ჩვენ ძალას და ენერგიას გვიმატებს, „ბრძოლამ“ არ იცის არავითარი კომპრომისები, ის არ ანდობს ბურჟუა-მინისტრებს რუსეთის რევოლიუციას, ის არ მოუწოდებს შეტევისაკენ მხედრობას და არ აწარმოებს იმპერიალისტურ პოლიტიკას, როგორც ამას ჩადიან ჩვენი ,,ამხანაგები“ ს. დ. პარტიის მემარჯვენე ფრთიდან — ,,ობორონცები“. ჩვენ პროვინციის მკითხველნი ვიზიარებთ ,,ბრძოლის“ ინტერნაციონალისტურ შეხედულებას. სალამს ვუძღვნით კატორღიდან დაბრუნებულ ამხანაგ არაქელა ოქუაშვილს და ,,ობორონცების“ მიერ დაწუნებულ ,,პოდრაჩიკს“ ამხ. გიორგი ჩხეიძეს. გიგზავნით ჩვენ პატარა წვლილს გაზ. ,,ბრძოლის“ ფონდისთვის 2 მანეთს.

ვ. მელქაძე და ვანო ,,პლუტი“.

**ჩვენი ფოსტა.**

— —

ს. ერკეთი. ტარასი მგალობლიშვილს. სამწუხაროთ, წერილი გვიან მივიღეთ ამიტომ ამ №-ში ვერ მოესწრო.

# ამხანაგებო № 8 ხმა მიეცით № 8

Электропечатня газ. «Тифлисскій Листокъ» М. Г. Хачатурова, Бруэнштерновая, 4.